თანამშრომლობის მემორანდუმი

საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და

საქართველოს ბიზნესომბუდსმენს შორის

ქ. თბილისი 28 სექტემბერი, 2018

ერთი მხრივ, საქართველოს კონკურენციის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ნოდარ ხადურის მიერ და მეორე მხრივ, საქართველოს ბიზნესომბუდსმენი - ირაკლი ლექვინაძე (შემდგომში - ბიზნესომბუდსმენი), მოქმედი „საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ" საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, შემდგომში ერთობლივად წოდებულნი მხარეებად, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს კანონმდებლობით, გამოვხატავთ რა ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობის სურვილს, ვდებთ წინამდებარე თანამშრომლობის მემორანდუმს (შემდგომში - მემორანდუმი).

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი

მხარეებმა, თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით, ამ მემორანდუმის შესაბამისად, უნდა გააძლიერონ თანამშრომლობა საქართველოს ტერიტორიაზე პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ხელშეწყობის, კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანად წარმართვისა და თავისუფალი კონკურენციის დაცვის მიზნით.

მუხლი 2. თანამშრომლობის ფორმები

მხარეები გამოთქვამენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ შემდეგი ფორმებით:

ა) ბიზნესომბუდსმენის წარმომადგენელთა მონაწილეობა სააგენტოს მიერ განხორციელებული მოკვლევის პროცესში და კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოსათვის შესაბამისი პოზიციის წარდგენა;

ბ) საქართველოს ტერიტორიაზე კონკურენტული გარემოს გაუმჯობესებისა და ბაზარზე ეკონომიკური აგენტების თავისუფალი დაშვების უზრუნველყოფის მიზნით, წინადადებების განხილვა და ანალიზი;

გ) ბიზნესომბუდსმენის მიერ საქმიანობის განხორციელების პროცესში კონკურენციის კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევის გამოვლენისას, ბიზნესომბუდსმენის მიერ მეწარმე სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდება - სააგენტოს უფლებამოსილებისა და კომპეტენციის თაობაზე;

დ) ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, წინადადებების შემუშავება საქართველოს კანონმდებლობაში არსებული იმ რეგულაციების შესახებ, რომელიც შესაძლოა ზღუდავდეს თავისუფალ კონკურენციას და აფერხებდეს პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას;

ე) საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს წარმომადგენელთა მონაწილეობა ბიზნესომბუდსმენის მიერ შექმნილ სამუშაო ჯგუფებში;

ვ) მხარეთა წარმომადგენლებს შორის შეხვედრები ან/და კონსულტაციები ორმხრივი ინტერესის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე ინფორმაციის გაცვლის მიზნით;

ზ) მხარეთა მიერ ორგანიზებულ კონფერენციებზე, სემინარებსა და სხვა ღონისძიებებზე მონაწილეობა;

თ) ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება საზოგადოებაში კონკურენციის კულტურის ამაღლებისა და მეწარმეთა ცნობიერების გაზრდის მიზნით;

ი) თანამშრომლობის სხვა ფორმები, რომელზეც მხარეები დამატებით შეთანხმდებიან.

მუხლი 3. თანამშრომლობის ფორმატი

1. წინამდებარე მემორანდუმი იდება მხარეთა შორის თანამშრომლობის გაძლიერებისა და განვითარებისათვის.

2. ინფორმაციის გაცვლა მოხდება წინასწარ განსაზღვრული საკონტაქტო პირების მეშვეობით ან/და მხარეთა წარმომადგენლების შეხვედრების დროს.

3. კონკრეტული ღონისძიებების დღის წესრიგი, განხორციელების ადგილი და სხვა საკითხები, მათ შორის, ფინანსური ასპექტები, უნდა დადგინდეს ინდივიდუალურად, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

2. მემორანდუმი შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობით შეთანხმების საფუძველზე.

3. მემორანდუმის შეწყვეტა შესაძლებელია მხარის მიერ მეორე მხარისთვის შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე, ამგვარი შეტყობინების გაგზავნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის შემდეგ.

4. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებების შეტანა ხორციელდება წერილობითი ფორმით. ცვლილებები ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

5. მემორანდუმი გაფორმებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემა მხარეებს.

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე	**საქართველოს ბიზნესომბუდსმენი**
---	---
ნოდარ ხადური	**ირაკლი ლექვინაძე**